საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**№68. 68232639**
თარიღი:**20/09/2023**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მოლითში მდებარე 36.17.34.450 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 150 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა'' და ,,ე.ე'' ქვეპუნქტების, 119-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს 180-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მოლითში მდებარე 36.17.34.450 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 150 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით, საწყისი საპრივატიზებო ღირებულებით 4500 ლარი.

2.განისაზღვროს:

ა) წინასწარი შესატანი ბეს (საგარანტიო თანხა) ოდენობა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 30% - თანხით 1350 ლარი. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ,,ბე“ (საგარანტიო თანხა) ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;

ბ) „ ბიჯი“-საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10% -თანხით 450 ლარი;

გ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გაფორმდეს მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება;

დ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში

გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: 300283390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი).

3.აუქციონი გამოცხადდეს 2023 წლის 21 სექტემბერს 13.00 საათზე და დასრულდეს 2023 წლის 5 ოქტომბერს 13.00 საათზე.

4.ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე: www.eauction.ge.

5.ინფორმაცია გამოქვეყნდეს ხარაგაულის მერიის ვებგვერდზე: www.kharagaulinews.gov.ge და მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის გაზეთ „ახალ ხარაგაულში“.

6.დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის ჩატარების ორგანიზება და აღნიშნული ბრძანების მოთხოვნის სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებ.გვერდზე www.eauction.ge -ზე განთავსება.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7).

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი